



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეშთეჰა

ეშთეჰა (იშტა) მირზა (ნამდგ. სახელი – მირზა აბდ ალ-ლაჰ იბნ ფერიდუნ გორჯი) (1829, ისპაჰანი, – 1872), სპარსელი პოეტი, წარმოშობით ქართველი. ალა-მაჰმად-ხანის მმართველობის დროს მისი ოჯახი სხვა ქართველთა მსგავსად ირანში გადასახლდა. მიიღო ფილოლოგიური და ფილოსოფიური განათლება. იყო კალიგრაფი და ამ საქმიანობით ირანში დასრულდა თავისი ავტორია ლაზალეებისა. მის პოეტურ ნაწარმოებებში დიდი ადგილი ეთმობა ხილთა და კერძთა ქებას. ისპაანელმა კალიგრაფმა მირზა ნასრ ალ-ლაჰ იბნ მოჰამად შაფიმ ე-ს გაფანტული ლექსები შეკრიბა, წინასიტყვაობა დაურთო და დივანი გააწყო. დივანის ხელნაწერი ინახება თეირანში, ირანის მეჯლისის ბ-კაში. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ეს დივანი დაბეჭდილიც არის. ე. წერდა სარგაშთეს ფსევდონიმითაც. ხაიამფურის ლიტ. ლექსიკონში მას სათანადო ადგილი აქვს დათმობილი.

ლიტ.: ა ბ ა შ ი ძ ე ი., მირზა ეშთეჰა გორჯის დივანი, კრ.: სპარსულ-ქართული ცდანი, თბ., 1983; თ ო დ უ ა მ., ქართულ-სპარსული ეტიუდები, თბ., 1971.

მ. შონია
